



შრომითი ხელშეკრულება № \_\_\_\_

**ქ. ბათუმი - ---- 201\_ წელი**

სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“, წარმოდგენილი რექტორის \_\_\_\_\_ სახით, (შემდგომში „დამსაქმებელი“ ან „აკადემია“), რომელიც მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საზღვაო აკადემიის წესდების საფუძველზე, ერთის მხრივ და ----- (*პირადი №-----, კ/მოწმობა №-----*) შემდგომში „დასაქმებული“), მეორეს მხრივ დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის ანაზღაურების სანაცვლოდ სამუშაოს შესრულების შესახებ.

### 1. ხელშეკრულების საგანი

1. „დამსაქმებელი“ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ამყარებს შრომით ურთიერთობას „დასაქმებულთან“ **სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“** -----  
----- თანამდებობაზე დანიშვნის გზით.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულებით, დამსაქმებლის წესდებით, შინაგანაწესით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებებით, თანამდებობრივი ინსტრუქციით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

### 2. შრომის ანაზღაურების წესი

1. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება (შემდგომში „ხელფასი“) განისაზღვრება თვეში - ---- (-----) ლარის ოდენობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

2. შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 1 რიცხვისა;



### 3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

#### 1. დასაქმებულს უფლება აქვს:

- ა. მოსთხოვოს დამსაქმებელს წინამდებარე ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის დაცვა;
- გ. ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით წელიწადში 24 სამუშაო დღის ოდენობით და ანაზღაურების გარეშე შვებულებით - წელიწადში არანაკლებ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ოდენობით, რის შესახებაც ვალდებულია 2 (ორი) კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი;
- დ. ისარგებლოს კანონმდებლობით დაწესებული უქმე და დასვენების დღეებით;

#### 2. დასაქმებული ვალდებულია:

- ა. კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები;
- ბ. დაიცვას აკადემიის შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- გ. წერილობით შეატყობინოს დამსაქმებელს მის პირად მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ასეთ ცვლილებიდან ერთი კვირის განმავლობაში;
- დ. დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია რომელიც პირისათვის ცნობილი გახდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს;
- ე. გაუფრთხილდეს დამსაქმებელის ქონებას. საოფისე ტექნიკა ან სხვა სახის მოწყობილობები, რომელიც გადაეცემა დასაქმებულს, გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ სამუშაოთი გათვალისწინებული უფლება მოვალეობების შესასრულებლად. ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია აუნაზღაუროს დამსაქმებელს მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი სრულად.
- ვ. დასაქმებულს ეკრძალება დამსაქმებელის სახელით ოფიციალური განცხადების (საგაზეთო პუბლიკაციები, სატელევიზიო ინტერვიუ და ა.შ.) გაკეთება, გარდა ხელმძღვანელობისაგან შესაბამისი ნებართვის არსებობის შემთხვევისა.
- ზ. შეასრულოს რექტორის ან/და უმაულო ხელმძღვანელის დავალებები.
- ზ. დასაქმებულის საერთო უფლებები და მოვალეობები წინამდებარე ხელშეკრულების გარდა განისაზღვრება ასევე დამსაქმებელის შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებითა და საქართველოს შრომის კანონმდებლობით.



### **3. დამსაქმებელს უფლება აქვს:**

- ა. მოსთხოვოს დასაქმებულს შეასრულოს ყველა ის საჭირო სამუშაო, რომელიც ევალება დასაქმებულს მისი თანამდებობიდან გამომდინარე (რაც განსაზღვრულია თანამდებობრივი ინსტრუქციით) და სხვა სამუშაო, რაც გათვალისწინებულია დამსაქმებელის წესდებით, შინაგანაწესით, სტრუქტურული ერთეულების დებულებებით და დამსაქმებელის მიერ გამოცემული სხვა აქტებით.
- ბ. შრომის შედეგების მიხედვით საჭიროებისამებრ მისცეს დასაქმებულს დანამატი ან პრემია.
- გ. დასაქმებულის მხრიდან ხელშეკრულებით, შრომის შინაგანაწესით, ეთიკური ნორმებითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებაში გაწერილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით დადგენილი სანქციები;

### **4. დამსაქმებელი ვალდებულია:**

- ა. გამოიყენოს დასაქმებულის შრომა სამსახურის საწესდებო მიზნების შესასრულებლად;
- ბ. თანამშრომლების მიმართ იხელმძღვანელოს თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით და არ დაუშვას დასაქმებულის რაიმე ფორმით დისკრიმინაცია;
- გ. უზრუნველყოს შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების და მასში შეტანილი ცვლილება/დამატებების დასაქმებულისათვის ხელმისაწვდომობა;
- დ. უზრუნველყოს დასაქმებულისათვის შრომის ნორმალური პირობების შექმნა დაკისრებული ფუნქციებისა და ვალდებულებების შეუფერხებლად შესრულებისათვის;
- ე. უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის დროული ანაზღაურება;
- ვ. უზრუნველყოს დასაქმებული ყოველწლიური კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით;
- ზ. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას მოახდინოს დასაქმებულთან საბოლოო ანგარიშსწორება არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა.



## 5. დავების გადაწყვეტის წესი

1. დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის წარმოშობილი ყველა დავა, რომელიც შეეხება ამ ხელშეკრულებასა და დასაქმებულის საქმიანობას, გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. თუ ასეთი შეთანხმება ვერ მიიღწევა დავის წარმოშობიდან ერთი თვის განმავლობაში, დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

## 6 . ხელშეკრულების მოქმედება

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2012 წლის ---- ---- და მოქმედებს 2012 წლის --  
----- ჩათვლით.
2. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია ვადამდე ადრე წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა.

## 7. შრომითი ურთიერთობების შეცვლა და შეწყვეტა:

1. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველებია:
  - ა. შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
  - ბ. ერთ-ერთი მხარის მიერ შრომის ხელშეკრულების პირობების დარღვევა;
  - გ. შრომითი ხელშეკრულების მოშლა;
  - დ. მხარეთა შეთანხმება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე;
  - ე. სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;
  - ვ. ხანგრძლივი შრომისუუნარობა;
2. დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია:
  - ა. თუ დასაქმებული ვერ ასრულებს მასზე ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობებს;
  - ბ. თუ დასაქმებული სისტემატურად უგულებელყოფს ხელშეკრულების პირობებს, შინაგანაწესს, სტრუქტურული ერთეულის დებულებასა და წესდებას;
  - გ. თუ გამოვლინდება დასაქმებულის (რომელიც პასუხისმგებელია ფულზე ან სხვა ფასეულობებზე) ბრალეული ქმედება, რასაც მოყვება მისი პატიოსნებისა და მისდამი ნდობის ეჭვქვეშ დაყენება, ან თუ დასაქმებულის მიერ დამსაქმებლის ქონების ქურდობა



ან დაზიანება დამტკიცდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით, ან იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომლის კომპეტენციაშიც შედის ადმინისტრაციული სახდელის დადება;

დ. დასაქმებული პირის ამორალური ქმედების გამო;

ე. საქართველოს კანონმდებლობით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

## 8. სხვა პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

2. დასაქმებული წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია დამსაქმებელის წესდებით, შრომის შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებითა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით განსაზღვრული ნორმები და მოთხოვნები, აღიარებს და სრულად ემხრობა მათ და იღებს ვალდებულებას ზედმიწევნით შეასრულოს აღნიშნული მოთხოვნები და უფლებამოსილებები.

3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

. პერიოდულად ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს წინასწარ წერილობითი შეტყობინების გზით. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.



## 9. მხარეთა რეკვიზიტები:

“დამსაქმებელი“

„დასაქმებული“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სასწავლო უნივერსიტეტი

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო  
აკადემია

მისამართი: ბათუმი 6010,

რუსთაველის გამზ. 53;

Website: [www.bsma.edu.ge](http://www.bsma.edu.ge);

E-mail: [info.mf@bsma.edu.ge](mailto:info.mf@bsma.edu.ge);

ტელ./ფაქსი: (995 422) 274850.

პირადი ნომერი №

პირადობის მოწმ. ნომერი №

მისამართი:

ტელ:

E-mail: